

პედაგოგთა პროფკავშირი - სოფელ არხილოსკალოს სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე უკანონოდ გაათავისუფლეს

19:38 09-12-2013



პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის განცხადებით, სოფელ არხილოსკალოს სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლიანა ბუთხუზი უკანონოდ გაათავისუფლეს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" აღნიშნული პროფკავშირებიდან აცნობეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორმა ნათელა ბუთხუზმა 2013 წლის 1-ელ ნოემბერს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა ამავე სკოლის პედაგოგსა და სამეურვეო საბჭოს ახლად არჩეულ თავმჯდომარეს ლიანა ბუთხუზს.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში აცხადებენ, რომ ლიანა ბუთხუზის გაათავისუფლების საქმე პროფკავშირის იურისტმა დეტალურად შეისწავლა და დარღვევები გამოიკვთა. კერძოდ, "ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" თანახმად, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წევრ მასწავლებლებს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს

მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, რასაც ადგილი არ ჰქონია.

"ამასთან, სკოლის დირექტორმა ნათელა ბუთხუზმა, 2013 წლის 01 ნოემბრით დათარიღებულ გათავისუფლების ბრძანებაში საფუძვლად მიუთითა ხელშეკრულების ვადის გასვლა. ის ამტკიცებს, რომ 2013 წლის 15 სექტემბერს (ანუ იმ დღეს, როდესაც სკოლასა და ლიანა ბუთხუზს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებას ვადა ამოეწურა) გამოსცა ბრძანება, რომლითაც შრომითი ურთიერთობა ლიანა ბუთხუზს თვენახევრით გაუგრძელა და სწორედ ამ პერიოდის გასვლის გამო, 2013 წლის 1-ელ ნოემბერს, პედაგოგს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა. ლიანა ბუთხუზი კი აცხადებს, რომ იგი აღნიშნულ ბრძანებას არ გასცნობია და მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ შეიტყო მისი არსებობის შესახებ, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევაა. ამასთან, შრომის კოდექსში ახლად განხორციელებული ცვლილებების თანახმად დამსაქმებელი ვალდებული იყო, დასაქმებულთან დაედო შრომითი ხელშეკრულება მინიმუმ ერთი წლით", _ აცხადებენ პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირში.

პედაგოგთა პროფკავშირში ეჭვობენ, რომ შრომითი ურთიერთობის თვენახევრით გაგრძელების შესახებ ბრძანება არის მოგვიანებით ჩამატებული, გაყალბებული დოკუმენტი და ის დირექტორის მიერ გამოიცა, საკუთარი უკანონო ქმედების გასამართლებლად.

პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის ინფორმაციით, ამჟამად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებს საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევ კონკურსს, რომლის ბოლო ეტაპზე სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორს ირჩევს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ პედაგოგის გათავისუფლების დროს დირექტორი მოქმედებდა პირადი მოტივებით, თავისი კარიერული ინტერესებიდან გამომდინარე _ ჩამოეცილებინა მისთვის არასასურველი სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.

ამასთან, აღნიშნული პროფკავშირის განცხადებით, მიმდინარე წლის 12 ნოემბერს სპმთპ-ის იურისტი, გრიგოლ ბაკურაძე გამოცხადდა სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში და შეხვდა საჯარო სკოლის დირექტორს. დირექტორის უკანონო გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით, სპმთპ-ის იურისტმა საჯარო სკოლის დირექტორს განუმარტა მისი მიერ ჩადენილი დარღვევები და შესთავაზა პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტის გზები, თუმცა უარი მიიღო.

"ქვეყნის მასშტაბით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ან წევრი გახდა დირექტორის მხრიდან ანგარიშსწორების ობიექტი. ყველა შემთხვევაში სპმთპ-მა მოახდინა დროული რეაგირება და დირექტორებთან კონსტრუქციული მოლაპარაკებების შედეგად შესძლო თავისი წევრების დაცვა. დედოფლისწყაროს არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორმა პირად საუბარში აღიარა მის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ „პრინციპულად" არ შეცვალა გადაწყვეტილება, რის გამოც სპმთპ-მა უკვე მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს სათანადო რეაგირების მოთხოვნით. პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ), უკანონოდ გათავისუფლებული პედაგოგის სამსახურში აღდგენის მიზნით, დავას სასამართლოში გააგრძელებს", _ აცხადებენ პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირში.